ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №12

09 აგვისტო, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
09:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი და ნინო კვიტაიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:
1. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე – გიორგი ჩაკვეტაძე;
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – ვლადიმერ ბოჟაძე;
3. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – გივი ჩხარტიშვილი;
4. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – ავთანდილ ცინცაძე.

მოწვეული სტუმრები:
1. ირაკლი გვილავა – ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის – განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (საფუძველი: წერილი №12-032221693-03; 04.08.2022).

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნებას, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისათვის უზრუნველყოფს სპორტული და ახალგაზრდული აქტივობების ხელმისაწვდომობას, ახალგაზრდების არაფორმალურ განათლებას, კულტურულ-შემოქმედებით და სპორტულ ცხოვრებაში საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს, ირაკლი გვილავას, რომლის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ითხოვს თანხმობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე.

განკარგულების პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იწონებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ წესდებას, რომლითაც განისაზღვრება ამავე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი, მისი მიზნები, მოვალეობები, მისი დამფუძნებლის უფლებამოსილებები, სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, ქონება, წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ წესდების მიხედვით, ცენტრი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, სპორტულ, ახალგაზრდულ, გამაჯანსაღებელ დაწესებულებას, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან დაწესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს კანონის „სპორტის შესახებ“, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და წინამდებარე წესდების საფუძველზე.

ირაკლი გვილავას განმარტებით, **წესდებით განსაზღვრულია ცენტრის მიზნები,** კერძოდ: სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ მიმართული სასწავლო-სპორტული პროცესების ორგანიზება, ასევე, აქტიური დასვენების პოპულარიზაცია და განვითარება; სპორტული და ახალგაზრდული აქტივობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც სხვადასხვა ასაკობრივი, ასევე, ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისათვის; მომხმარებელთა მოთხოვნებისა და ინტერესების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა; ***სასწავლო-სპორტული პროცესის ორგანიზება, სპორტსმენთა***

წვრთნისთვის საჭირო პირობების შექმნა; ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების მიწოდება; ახალგაზრდების არაფორმალური განათლების, კულტურულ-შემოქმედებით და სპორტულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა; ახალგაზრდებისთვის სამუშაო სივრცეების შეთავაზება; ახალგაზრდების ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა; მრავალპროფილური სპორტული და ახალგაზრდული საქმიანობა, მათ შორის: ტანვარჯიშის სახეობები, ფიტნესი, ძიუდო, ჭიდაობა, კრივი, აღმოსავლური ორთაბრძოლები, კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, ცურვა და სხვა; დასახული მიზნის მისაღწევად სხვა უფლებამოსილებების განხორციელება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ წესდებას და საქართველოს კანონმდებლობას.

დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ ბოჟაძემ, ავთანდილ ცინცაძემ და ნინო კვიტაიშვილმა.

ვლადიმერ ბოჟაძე დაინტერესდა, ვარკეთილის ცენტრსაც გააერთიანებს თუ არა აღნიშნული „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი“, რაზეც ირაკლი გვილავამ უპასუხა, რომ ამ ეტაპისთვის არ იგეგმება დასახელებული ცენტრების გაერთიანება, რამდენადაც, მათი მშენებლობები მიმდინარეობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სხვადასხვა სამშენებლო კომპანიების მიერ.

ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ დიდ დოღომში ამ დრომდე არ არსებობდა მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას შეუწყობდა ხელს, შესაბამისად, მსგავსი „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნება არის უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელი. საბურთალოს რაიონის მაჟორიტარმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც აღნიშნული მრავალფუნქციური ცენტრის დაფუძნების პროცესში იყო ჩართული.

ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, პროექტის მიღება გამოიწვევდა თუ არა დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რაზეც ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას, რადგან მსგავს საზოგადოებრივ ცენტრებს, ფასიანი სერვისების ხარჯზე, გააჩნიათ შემოსავლები, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების ხელშეწყობის ქვეპროგრამას, რომლის ფარგლებშიც მოხდება ამ ეტაპისთვის ხარჯების გაწევა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა